



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030462875982414

№ 04-13/ა

24 / იანვარი / 2014 წ.

სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომელთა საჯარო კონკურსით
შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11¹ მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის გათვალისწინებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომელთა საჯარო კონკურსით შერჩევის წესი, თანახმად დანართისა.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომელთა საჯარო კონკურსით შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 29 მარტის N04-138/ა ბრძანება.
3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ნოე ქინქლაძე

ნ. ქინქლაძე